შოთა ნადირაშვილის "პროპაგანდის ფსიქოლოგია" და მისი როლი პოლიტიკის მეცნიერებების პანევროპული სკოლის განვითარების პროცესში

თბილისი, 2022, 10 ივნისი - „ანდრიაუნი"

მოხსენების მთავარი **მიზანია** - დიმიტრი უზნაძის საქმის გამგრძელებლის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ბურჯის - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ჰუმანიტარული ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭოს წევრის - შოთა ნადირაშვილის მემკვიდრეობის სრულყოფილი პატივისცემის ნიშნათ გამოვაჩინოთ მისი ახალი, საზოგადოებისთვის უცნობი როლი.

შ.ნადირაშვილი როგორც აკადემიკოსი, აქტიურად იყო ჩართული ეროვნული მოძრაობის პროცესში, განსაკუთრებით წარმოსადგენია მისი როგორც პუბლიცისტის როლი. მის წერილები წარმოადგენდნენ პროფესიონალის მოსაზრებებს მიმდინარე პროცესებზე და ის სცდილობდა რომ სრული პასუხისგებლობით ღირსეულად შეესრულებინა თავისი მოვალეობა. სახელდობრ - **„ერის სადარაჯოზე მყოფი - ინტელექტუალი რაინდის როლი".** მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ წერილების სრული კონცენტრაცია და გამოქვეყნება.

პოლიტიკური პუბლიცისტიკის გარდა იგი ღებულობდა მონაწილეობას მე-XX საუკუნის **პანევროპული (ანუ ტრანსკონტინენტალური) პოლიტიკური მეცნიერების სკოლის** ჩამოყალიბებაში. ცნება **ტრანსკონტიტნრტალური ევროპა** პირველად იყო გამოყენებული სტატიაში,[1] რომელიც გახდა 2009 წელს - **„არქიპელაგი კავკასია - მითები თუ პოლიტიკური რეალობა"** გამოცემის და 2012 წელს კავკასიის საერთაშორისო უნივერისტეტის ბაზაზე - **გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის** დაარსების საფუძველი.[2] კავკასია, და სახელდობრ თბილისი ამ მოდელში წარმოდგენილია როგორც ტრანსკონტინენტალური ევროპის ცენტრი და არა პერიფერია.

შოთა ნადირაშვილი განეკუთვნებოდა ქართველი მეცნიერების არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ ზეერევნულ, ტრანსნაციონალურ განზომილებას და წარმოადგენდა საბჭოთა, ანუ აღმოსავლეთ ევროპის მეცნიერების ავანგარდს. განსაკუთრებით

[1] ა.რუსეცკი - „ევროპული იდენტობა, ევროპის საზღვრები და საქართველოს პოზიციონირება გეოპოლიტიკურ სივრცეში"/პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო - პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი (PISM), ჟურნალი „ვროპა" 2007.

[2] http://research.ciu.edu.ge; www.RAV2021.com

მნიშვნელოვანია მისი როლი ფსიქოლოგიის და პოლიტიკის მეცნიერებების გადაკვეთაზე. იგი სხვა ქართველ მეცნიერეთან ერთად ან პარალელურად ღბულობდა მონაწილეობას ახალი პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესში.

საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ცნობილი რომ ევროპის პოლიტიკური მეცნიერებების ასოციაციის შემქმნელი, და ევროკავშირის იდეის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ცნობილი ქართველი იურისტი - **მიხეილ მუსხელიშვილი.** ისევე როგორც მიხეილ მუსხელიშვილი - დასავლეთ ევროპაში, აკადემიკოსი **ვიქტორ ჩხიკვაძე** გახლდათ საბჭოთა კავშირის და ფაქტიურად - აღმოსავლეთ ევროპის პოლიტოლოგთა ასოციაციის პირველი პრეზიდენტი.

აკადემიკოსი **ჯერმენ გვიშიანი** (ერთად-ერთი ქართველი (თუ არ ჩავთვლით თბილისელ - ევგენი პრიმაკოვს), ხდება რომის კლუბის წევრი და ამერიკელ და ინგლისელ კოლეგებთან ერთად - ავსტრიის დედაქალაქ ვენის მახლობლად არსებული ლაქსენბურგის სასახლეში ქმნის - **გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ცენტრს.**[3] ეს დღესაც არსებული ინსტიტუტი წარმოადგენდა აშშ-ს და სსრკ-ას სამეცნიერო თანამშრომლობის ერთობლივ პროდუქტს და დღემდე წარმოადგენს მსოფლიო, საერთაშორისო უსაფრთხოების ინსტიტუტების უმნიშვნელოვანეს ელემენტს.

უნიკალური პიროვნება - აკადემიკოსი **ივერი ფრანგიშვილი** - 1960 წლიდან სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ავტომატური და ტელემექანიკის (მართვის პრობლემების) ინსტიტუტის[4] დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. ატომური ელექტროსადგურების ავტომატიზებული მართვის სისტემების გენერალური კონსტრუქტორი (1985). მართვის სისტემების თეორიისა და ტექნიკის შემუშავების ერთ–ერთი ინიციატორი. მისი უნიკლაურობა მდგომარეობდა იმაში რომ ის სიღრმისეულად ერკვეოდა კოგნიტურ პროცესებში და არის **კოგნიციური მართვის** მიმართულების ერთ-ერთი შემქმნელი. მისი მონოგრაფია **„სისტემური მიდგომა და მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება“** განიხილავს სისტემურ მიდგომას რთული ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით. ჩამოთვლილია მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდის ძირითადი სამეცნიერო მეთოდები. განიხილება "ოქროს კვეთის" ან "ოქროს პროპორციის" სისტემური მეთოდების გამოყენება, რბილი რეზონანსული კონტროლი, კოგნიტური ანალიზი და კონტროლი, რეფლექსური კონტროლი კომპლექსურ

[3] Raiffa, H. (2020) The founding of the institute. Available at: https://iiasa.ac.at/web/home/about/whatisiiasa/history/history_of_iiasa.html (Accessed: 12 January 2022).

[4] https://www.ipu.ru/node/12123

ორგანიზაციულ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში მენეჯმენტისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტურობის საგრძნობლად გასაუმჯობესებლად.

გლობალური პროცესების მართვის საფუძვლების შექმნის ერთ-ერთი პირობა - კიბერნეტიკის განვითრება გახლდათ. და ამ მიმართულებით საქართველოში არა მხოლოდ შეიქმნა **კიბერნეტიკის ინსტიტუტი,**[5] არამედ მისი დამაარსებილს - აკადემიკოს ვლადიმერ ჭავჭანიძის ინიციატივით ჩატარდა ერთ-ერთი პირველი კონფერენცია **„ხელოვნურ ინტელექტის საკითხებზე“.**[6]

ამ სახელების გვერდით არის აკადემიკოსი - ილია ვეკუა, რომელმაც შექმნა პირველი მსოფლიოში აკადემ ქალაქი (ნოვოსიმბირსკში) და ნოვოსიმბირსკის უნივერსიტეტი - უნიკალური პროექტი, რომელიც გულისხმობდა ერთ სივრცეში განსაკუთრებული ინტელექტის მქონე ადაამინების კონცენტრაციას. მხოლოდ როგორც მისი ანალოგი მოგვიანებით იქმნება აშშ-ში „სილიკონის ველი“. რა ბედი ეწია „თბილისის აკადემქალაქს“ ჩვენ ნათლად ვხედავთ. მის სივრცეში აღმოცენებული „ვანდალური არქიტექტურა“ წარმოადგენს ქართული მეცნიერების გარდაცვალები უშველებელ მემორიალურ კომპლექსს.

განსხვავებით დღევანდელი თაობისაგან, მათ შეეძლოთ არა მხოლოდ პირად განვითარებაზე ზრუნვა, არამედ ქართული ეროვნული მეცნიერების განვითარებისათვის უნიკალური პროექტების რეალიზება და მისი ჩართვა გლობალურ მაკრო პროცესებში.

აი ამ გარემოშო მომავალი აკადემიკოსი - შოთა ნადირაშვილი ღებულობს განსაკუტრებულ როლს - შესძლოს სოციალური პროცესების მართვაში განწყობის თეორიის პრაქტიკული გამოყენება. ამ თვალსაზრისით, დიდ ინტერესს წარმოადგენს 1978 წელს გამოქვეყნებული მისი ნაშრომი - **„პროპაგანდის ფსიქოლოგია“.**[7]

ნაშრომის მთავარი ამოცანაა - პიროვნების სოციალური განწყობების ფორმირება კონკრეტული სოციალური მოვლენების მიმართ.

როგორც ხედავთ ეს ამოცანა დღეს წარმოადგენს ფუნდამენტური კვლევების საფუძველს და მზარდი ინტერესი მის მიმართ გამოწვეულია იმით, რომ ეს არის მართვის თეორიის და მასობრივი კომუნიკაციების თეორიის ერთ-ერთი

[5] https://www.cybernet.ge/
[6] https://computing.tsu.ge/ka/about
[7] Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978

უმნიშვნელოვანესი კომპონენტი და საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომების ტექნოლოგიური იარაღი.

რომ არა ის პოლიტიკა, რომელმაც საქართველო გაიმეტა და 1992 წელს მიაჯაჭვა - „განვითარებად ქვეყნების სტატუსს“, დღეს, 30 წლის შემდეგ შეიძლება ყოფილიყო წამყვანი ტექნოლოგიური ჰაბი.

ქართული ფსიქოლოგიის სკოლის განადგურება, სახელდობრ დიმიტრი უზნაძის ინსტიტუტის დახურვა და უნიკალური სამეცნიერო არქივების განიავება წარმოადგენს ანტისახელმწიფოებრივ დივერსიას. სამწუხაროდ „ვარდების“ ეპოქით ეს პროცესი არ სრულდება და ამის მტკიცებულებას წარმოადგენს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2010-2019 წწ კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოდან ჯერ „პოლიტიკური ფილოსოფიის“ და მერე - „პოლიტიკური ფსიქოლოგიის“ სპეციალობის ამოღების ფაქტი.

ვანდალური აქტი მოითხოვს სერიოზულ რევიზიას და ეს არის სახელმწიფო აუდიტის საქმე, რომელიც სამწუხაროდ ბოლო წლების განმავლობაშო მხოლოდ ბუღალტრული შემოწმებებითაა დაკავებული. აღარაა საუბარი იმ სამინისტროებზე, რომლებიც ეროვნული უშიშროების და თავდაცვის პრობლემებზე უნდა მუშაობდნენ.

კვლევით ჩარჩოში მოძიებულმა ინფორმაციამ ნათლად დაგვანახა, რომ დღევანდელი განათლების პოლიტიკა არანაირად არ პასუხობს იმ რისკებს, საფრთხეებს და გამოწვევებს, რომელიც აღნიშნულია სახელმწიფოს ეროვნული უშიშროების კონცეპციაში და ასევე „საფრთხეების სპეციალურ დოკუმენტში“.[8]

შ.ნადირაშვილის **„ფსიქოლოგიის პროპაგანდა“** არის ნიმუში იმის, თუ როგორ იმართება დღეს ეროვნული ინტელექტუალური კაპიტალი. ეს წიგნი დღემდე არც კი გადათარგმნილა ქართულად და ეს მაშინ როდესაც ამ წიგნის საფუძველზე სხვა ქვეყნებში ფუნქციონირებს სამაგისტრო პროგრამები.[9]

„ფსიქოლოგიის პროპაგანდაში“ შოთა ნადირაშვილი ეხება ისეთ საკითხს როგორიცაა მორალის როლი პიროვნების მართვაში. იგი განიხილავს მორალური და ამორალური ქცევების ფსიქოლოგიას რაც წარმოადგენს ინტერესს ღირებულებათა კვლევების -

[8] ა.რუსეცკი, ო.დოროხინა - 2021, მონოგრაფია **„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, www.rav2021.com.**

[9] Воздействие СМИ, Учебная программа учреждения высшего образования по учебной дисциплине для специальности: 1-23 01 15 Социальные коммуникации, https://core.ac.uk/download/pdf/38542716.pdf

პოლიტიკური აქსეოლოგიის მეცნიერებისათვის.[10] ის ამახვილებს ყურადღებას მკვლევარის ეთიკის საფუძველზე და აყენებს კითხვას - **„რამდენადაა ზნეობრივი ისეთი კვლევების ჩატარება, რომელიც სხვების მართვის შესაძლებლობას იძლევა?“** და ის ამაზე თვითონ იძლევა ცალსახა პასუხს რომ ეს **„ცოდვის ან ატომური იარაღის შექმნის ტოლფასიაო“.**[11]

ეს იმ დროისთვის გაბედულზე მეტი ნაბიჯი იყო. ნათლად ჩანს, რომ ნაშრომი ცენზურის მიერ აჩეხილია, სამწუხაროდ მისი დედანის არსებობის თაობაზე ჯერ არაფერი ვიცით, მაგრამ ძალიან საინტერესოა რა ამოიღო საბჭოთა ცენზურამ. უფრო მეტს ამოიღებდნენ რომ ეს წიგნი დაბეჭდილიყო მოსკოვში და არა თბილისში.

როდესაც შ.ნადირაშვილი ეხება ადამიანის ქცევის განწყობის შინაგან - მოთხოვნილების ფაქტორს და „ფსიქოლოგიურ ავტოპორტრეტს“, იგი ფაქტობრივად მკითხველის ყურადღებას აქცევს - ზნეობის ფენომენის როლზე ადამიანის ქცევებში.

როდესაც იგი განიხილავს პიროვნებაზე ზეგავლენის გარე ფაქტორებს ის ჰყოფს მათ - „საგნობრივ რეალობად“ და „სოციალურ მოთხოვნილებად“. ამ შემთხვევაშიც ფიგურირებს ესთეტიური და ზნეიბრივი ნორმების საკითხი.

ცნება „პროპაგანდის“ მიმართ დღევანდელ საზოგადოებაში ჩამოყალიბებულია უარყოფითი დამოკიდებულება, მაგრამ ნაშრომის ავტორისათვის პროპაგანდა რეალობაში წარმოადგენს პოზიტიური ღირებულებების პოპულარიზაციის და სოციუმის მორალური გაჯანსაღების შესაძლებლობას.

რომ გადავხედოთ პოლიტიკური აზროვნების ისტორიას, დავინახავთ საინტერესო კანონზომიერებას. XVII-XIX საუკუნის ისტორიაში, პოლიტიკა და მორალი განიხილებოდა ერთ წყვილში. 1795 წელს საფრანგეთში იქმნება **მორალური და პოლიტიკური მეცნიერებების აკადემია.** ეს აკადემია დღემდე არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად თანამედროვე მეცნიერებაში მორალური კონტექსტი არის სეპარირებული და ლოკალიზირებული. უფრო მეტიც, ჰოლისტური ფილოსოფიური პარადიგმის ნაცვლად მობრძანებულმა რედუქციონისტულმა აზროვნებამ მორალი დაუპირისპირა თვით მეცნიერებასაც. დაირღვა ღვთიური კავშირი, რომელიც ორივეს აქვემდებარებდა ჭეშმარიტებასთან - აბსოლიუტთან. ანუ დაირღვა ჰარმონიული შემეცნების პრინციპი, რომელიც იყო ორიენტირებული **პოლიუნარიანი** ადამიანის განვითარებაზე. ამას ფაქტობრივად ემსახურებოდა „პოლიტექნიკაც“.

---

[10] Victor Kryukov, Tamara Rubantsova, Helen Sotnikova, Basic Concepts of Political Axiology, International Journal of Management Sciences and Business Research, Sep-2021 ISSN (2226-8235) Vol-10, Issue 9 p.15-18

[11] Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». (стр. 9). Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978

„მორწმუნე- მეცნიერი“ აღმოჩნდა უმცირესობაში, პოზიციები გაიმაგრეს „ათეისტმა მეცნიერებმა“. „პროპაგანდის ფსიქოლოგიაში“ ბალანსი „პოლიტიკასა“და „მორალს“ შორის არის დაცული, ავტორი ცდილობს „სტრიქონებს შორის“ გააგებინოს მკითხველს, მისი აზრი პოლიტიკის და პოლიტიკური პროცესების ჰუმანიზაციის თაობაზე და არა ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მეცნიერის ეთიკაზე.

ღირებულებათა საკითხის თაობაზე ცნობილია დიდი სოკრატეს შეხედულება. იგი განმარტავს „ქველს“, როგორც ერთდროულად „სიკეთეს“ და „სარგებელს“. „ქველი“ მისი აზრით წარმოადგენს რეალიზირებულ ღირებულებას - სარგებელს. ანუ მისი ღირებულებები განსაზღვრავენ მის მოქმედებას, რომელიც ქველმოქმედებაში აისახება. ეს ეკონომიკური ფსიქოლოგიის კონტექსტში მიგვითითებს იმაზე, რომ ეკონომიკის სტრატეგიული და ფუნდამენტური რესურსი - ღირებულებებია.

გამომიდნარე აქედან, დღის წესრიგსი დგება მაღალი დონის კონკურენტულ გარემოში არსებობის პირობებში **„არარეალიზებული ღირებულებების“** პრობლემა. სოციუმში არსებული ღირებულებათა კონფლიქტი, რომელიც ძლიერდება იდეოლოგიით და შესაბამისი პროპაგანდისტული ნაკადებით ქმნის ცალკეულ ადამიანებში ინტრაპერსონალურ კონფლიქტს. ფსიქოლოგიამ, როგორც მეცნიერბეამ ამ გამოწვევაზე სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა.

მაგრამ, ნახევარი საუკუნის წინ შექმნილმა ნაშრომმა შესაძლებელია დღეს ეს პროიცესი დაძრას და გაგვიყვანოს კონკრეტულ შედეგებზე.

ნაშრომში წამროდგენილია პროპაგანდის ზეგავლენა ადამიანის ცნობიერებაზე - ცნობიერების ასიმილიატორული და კონტრასტული ცვალებადობის კანონები; წარმოდგენილია პროპაგანდის ზეგავლენა ზომიერ და რადიკალურ პოზიციებზე. განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის შესაძლებლოებების შეფასება დღევანდელ საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესებზე. ანუ შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაშრომის გამოყენება კონფლიქტების და მშვიდობის კვლევების მიმართულებით წარმოდგენს სერიოზულ ინტერესს.

ნაშრომს წინ უსწრებდა დასავლეტის და საბჭოეთის დაპირისპირების იდიოლოგიური პროცესი.

თუ 1927 ში გამოიცემა აშშ-ს პოლიტოლოგიური სკოლის და მასსობრივი კომუნიკაციების თეორიის ერთ-ერთი შემქმნელის და ამერიკის პოლიტოლოგთა

ასოციაციის პრეზიდენტის - **ჰაროლდ დუაით ლასუელის** ნაშრომი - „პოლიტიკური პროპაგანდის თეორია“.[12]

უკვე 1929 წელს სსრკ-ში რუსულად გამოიცემა მისი ნაშრომი - „მსოფლიო ომის პროპაგანდის ტექნიკა“.[13]

იმ შემთხვევაში თუ ჩვენ ვივარაუდებთ, რომ საზოგადოების უმეტესობა (ლასუელის მიხედვით) არაადეკვატურად აღიქვავს გარკვეულ სოციალურ მოვლენას, მაგალითად **აფხაზეთის კონფლიქტს**, შესაბამისად მისი მოქმედებები მის მოგვარებაზე არ იქნება ადეკვატური. ლასუელისთვის ეს ირაციონალური ქცევა - ნორმაა. ის თვლის, რომ მოსახლეობის უმრავლესობა არა მხოლოდ ვერ ერკვევა მიმდინარე მოვლენებში, არამედ მისი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, წარმაოდგენს საფრთხეს მთლიანი სისტემისათვის. ფაქტობრივად ის სიღრმისეულად უპირისპირდება მაჟორიტარულ დემოკრატიას და არ შეიძლება რომ არ დავეთანხმოთ მას ამ მიდგომის შინაარსში.

საუბარია ილუზიაზე, იმაზე, რომ უმრავლესობა ვერ აღიქვავს რეალურ სურათს. ანუ კონფლიქტის განხილვის შემთხვევაში დეფორმირებული აღქმის შედეგად იქმნება - **ფსევდოკონფლიქტი.**[14]

ერთი მხრივ საინტერესოა თვით ამ ილუზიის შეფასება განწყობის თეორიის მიხედვით, ხოლო მეორე მხრივ დიდ ინტერესს წარმოადგენს მიმართული აღქმის ტრანსფორმაციის შესაძლებლობა, მაგალითად მიზანმიმართული პროპაგანდა (საინფორმაციო კამპანია), ორიენტირებული კონფლქიტის სურათის ალტერნატიულ - ადეკვატურად აღქმაზე და ამის შემდეგ მისი მოგვარებისთვის შესაბამისი ზომების მიღებაზე. ლასუეელის ოპონეტის - ამერიკელი პედაგოგის და ფილოსოფოსის ჯონ დიუის აზრით, შესაძლებელია საზოგადოების განათლება და ამისთვის მას-მედიის გამოყენებაც არის აუცილებელი. და ბატონი შოთა ნადირაშვილი ეთანხმება პრინციპში დიუის და პროპაგანდაზე მაღლა ყენებს განატლების საკითხს.

იგი ამახვილებს ასევე ყურადღებას სოციუმისთვის არასასურველ სხვა ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა - პროტექციონიზმი, ნეპოტიზმი, კარიერიზმი, სხვადასხვა ტიპის ადიქციური ქცევები. ამ პროცესების მართვა არის შესაძლებელი, მაგრამ მაშინ ჩვენს წინაშე დგება სხვა დონის და რანგის კონფლიქტი. ესაა ბრძოლა იმისთვის თუ

---

[12] Lasswell H.D. The Theory of Political Propaganda // The American Political Science Review — 1927. — Vol. 21, No. 3. — с. 627—631.

[13] Лассуэлл Г. Д. Техника пропаганды в мировой войне / Сокращённый перевод с английского Н. М. Потапова — М.-Л.: Государственное издательство; отдел военной литературы, 1929.

[14] „ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში“. 2009

რას ვაშენებთ - ჩვენთვის ღირებულია ტრადიციული საზოგადოება და მისი მორალი, თუ ჩვენ ვაშენებთ ქვეყანას, რომელიც ამ ღირებულებების მიმართ არის ინდეფერენტული?

ბოლო 30 წლის რეალური პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ მეცნიერული ცოდნა და მედია ტექნოლოგიიები არის გამოყენებული ტრადიციული საზოგადეობის ზნეობრივი ნორმების განადგურებისათვის. როდესაც ბავშვს ასწავლიან იმას, რომ მან იყიდა ბილეთი და ამიტომ არაა ვალდებული რომ დაუთმოს ადგილი ხანში შესულ ადამიანს, ან როდესაც სახელმწიფოს მეთაური პირდაპირ მიუთითებს ე.წ. „პატრიოტული ბანაკის“ მონაწილე ბავშვებს „ბუჩქებისაკენ“ (იგულისხმება ინტიმური ურთიერთობები), ეს ნიშნავს იმას, რომ „პანდორის ყუთი“ გახსნილია და ამ ვითარებაში, კონტრ-პროპაგანდის წარმოება რთულდება. ეს არის გზა წარღვნისკენ და მეცნიერების ამოცანაა არა ამ პროცესის მონური მომსახურეობა, არა შემგუებლობა-კონფორმიზმი, არამედ - ინტლექტუალური ბრძოლა ამ პროცესის შეჩერებისთვის.

ამ ბრძოლაში გასათვალისწინებელია პროფესიული პასუხისგებლობის საკითხი.[15]

გასათვალისწინებულია ავტორის მიერ ე.წ. „ძლიერი რეაქტიულობის ტენდენცია“. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც მიწოდებული ინფორმაცია კი არ ასუსტებს, არამედ აძლიერებს „მიმღების“ პოზიციებს. ფიქსირდება **რეპუდიაციის ეფექტი,** მიმდინარეობს რესურსების მობილიზაცია და მოკავშირეების ძიება. პოზიტიური ტრანსფორმაციის ნაცვლად ჩვენ ვღებულობთ კონფლიქტის უხეშ ესკალაციას და აგრესიის ზრდას. განსაკუთრებით გასათვლისწინებელია ყველა საფეხურის პედაგოგის მომზადების და გადამზადების საკითხი - განსაკუთრებით ღირებულებათა კონფლიქტების მართვის საკითხში.

წიგნი „პროპაგანდის ფსიქოლოგია“ წარმოადგენს ამ თვლასაზრისით საინტერესო ტექნიკებს, რომელიც მნიშვნელოვანია მეცნიერებისათვის და პედაგოგებისათვის, ყველასთვის, ვინც ურთიერთბს აუდიტორიასთან განსაკუთრებით კი იმ ფსიქოლოგებისათვის ვინც ეხმარება პეირაფობიის (საჯარო გამოსვლების ფობიების) პრობლემის მქონე პირებს (პირველ რიგში სტუდენტებს).

წიგნში განხილულია „მიბაძვის ეფექტის“ პოზიტიური მხარეები - ზეგავლენა ადამიანის შრომისუნარიანობის ზრდაზე.[16],[17]

---

[15] Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». (стр. 64). Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978
[16] Karl Thompson, The Functionalist Perspective on Society, 2016
[17] Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». (стр. 100). Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978

ამავე დროს შ.ნადირაშვილი აღნიშნავს მიბაძვის შესაძლო უარყოფით ზეგავლენას, როგორც ორგანიზაციაში, კლასში - მაგალითად - „მთქნარების გადამდები ეფექტი“), ასევე ზოგადად სოციუმში. „მიბაძვის“ გადამდები ეფექტი შეიძლება იყოს როგორც პოზიტიური, ასევე უარყოფითი (მაგალითია „მიბაძვითი თვითმკვლელობების“ კატეგორია - ანუ ვერტერის სინდრომი). გამომიდნარე აქედან, მეცნიერის და პედაგოგის, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგის პასუხისგებლობაა მართოს საზოგადოებაში ეს პროცესი იმიტომ რომ უმართავ ვითარებაში შეიძლება მივიღოთ კატასტროფიული შედეგები, აღარაა საუბარი იმ სიტუაციაზე, როდესაც გარე ძალა ხელოვნურად ქმნის მავნე განწყობების კულტურას. პარადოქსია, რომ ქვეყანა, რომელშიც შეიქმნა „განწყობის თეორია“ დღეს ფსიქოლოგიურად დაუცველია და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების საკითხი არ დგას პოლიტიკის დღის წესრიგში და არც ერთ სერიოზულ სახელმწიფო დოკუმენტში არაა დაფიქსირებული. თუ სახელმწიმფო თვითონაა მტრული ინტერესების გამომხატველი სოციალური ინსტიტუტი, მაშინ ალტერნატიული ძალები უნდა გაჩნდეს თვით სოციუმში.

განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანის ქცევაზე ავტორის აზრით ახდენს ე.წ. „სანიმუშო ჯგუფი“ – ამიტომ არის მნიშვნელოვანი თუ რა გმირებზე ამახვილებენ ყურადღებას დღევანდელ ქართულ საზოგადოებაში? ვინ ახდენს ამის კონტროლს თუ ამაზე დაკვირვებას? ლოსუელის აზრით ამას უნდა აკეთებდეს **„სამეცნიერო ტექნოკრატია“**. ის კარგად აცნოიბიერებდა ამ „პანდორის ყუთის საფრთხეს და აფრთხილებდა საზოგადოებას“. 1960 ში იგი აქვეყნებს წიგნს - „ფსიქოპათოლოგია და პოლიტიკა“.[18] ის თვლიდა, რომ პორპაგანდის მთავარი მიზანია - „მსოფლიოს ბატონობა მინიმალური ეკონომიკური დანახარჯებით“.[19]

"მმართველი (მმართველი) ელიტების" შესწავლით, 1937 წელს ლასუელმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა **"გარნიზონის სახელმწიფოს"** კონცეფცია. მის პირობებში მას ესმოდა ისეთი სახელმწიფო, სადაც წამყვანი როლი ეკუთვნით ძალადობაში ჩართულ სპეციალისტებს თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. თავის მხრივ, მან მას დაუპირისპირა საზოგადოება, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ბიზნეს საზოგადოებას. გარდა ამისა, ლასველმა გამოყო შუალედური ტიპები - "სახელმწიფო, რომელსაც აკონტროლებს პარტიული პროპაგანდის აპარატი", "პარტიული ბიუროკრატიის მდგომარეობა", ასევე „ბაზრისა და პარტიული ძალაუფლების მონოპოლისტების“ ერთობლიობა. მას მიაჩნდა, რომ შესაძლებელი იყო თანამედროვე

[18] Lasswell H. D. Psychopathology and politics" (1960)

[19] Rogers E.M. A history of communication study: a biographical approach. — New York: The Free Press, 1997. — c. 104.

საზოგადოების დაცვა „მმართველი ელიტების“ ხელყოფისაგან საერთაშორისო ქმედებებით, მათ შორის მეცნიერთა მნიშვნელობის გაძლიერებით.[20]

იმის დემონსტრირებისთვის, რომ პროპაგანდა მიმართავს როგორც მიმღებთა გონებას, ასევე გრძნობებს, ლასუელს შემოაქვს ცნებები - „კრედენდა“ და „მირანდა“

Credenda (ნდობა) რაციონალური ცნობიერების სფეროა, რომელიც უფრო მეტად შეესაბამება პოლიტიკურ დოქტრინებს; იგი მოიცავს დებულებებს, კონსტიტუციებს, დეკლარაციებს, ხელშეკრულებებს, რომლებიც მიმართულია გონებისა და შემეცნებით დონეზე ხელისუფლების მიმართ ნდობის უზრუნველყოფას.

მირანდა (მირაჟი, ზებუნებრივი) არის რიტუალების და სიმბოლოების კრებული; ის შეიცავს ისეთ საკომუნიკაციო საშუალებებს, როგორიცაა ლოზუნგები, დროშა, ჰიმნი, მოძრაობის ლიდერი (გმირი) და შექმნილია ემოციური აღქმისთვის, ლოიალობის გრძნობის გასაღვიძებლად.[21]

ამავე დროს მისი ოპონენტები თვლიან, რომ პიროვნების ქცევაზე ახდენს ზეგავლენას ასევე ის თუ რამდენად ის მონაწილეობდა ამ საკითხთან დაკავშირებულ დისკუსიებში. ანუ საუბარია ე.წ. დემოკრატიულ პარტისიპაციაზე და გადაწყვეტილების მიღების ლეგიტუმურობის ხარისხზე.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია შ.ნადირაშვილის მიერ ყურადღების კონცენტრაცია „კონფორმიზმის ეფექტზე“. მას მოჰყავს ექსპერიმენტის მაგალითი, რომელიც ამტკიცებს რომ 37%-ვის მცდარი საზოგადოებრივი აზრი (უმრავლესობის) არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი პირადი მოსაზრებები.[22]

არის მოულოდნელი მკიღთხველისთვის, როდესაც ბატონი შოთა აკრიტიკებს პროპაგანდას, გამომდინარე იქედან, რომ მისი აზრით ის ბევრად უფრო არის დაკავშირებული რისკებთან (უკუშედგებთან), ვიდრე საგანამანათლებლო საქმიანობა. ამ თვლასაზრისით მისი პოზიცია უფრო ახლოსაა ჯონ დიუის პოზიციასთან. ჯონ დიუი იყო ინსტრუმენტალიზმის და პრაგმატიზმის ფილოსოფიური სკოლის

[20] Lasswell H. D. Propaganda Technique in the World War (1927; переиздана с новым вступлением, 1971)

[21] Гнатюк О. Л. Из истории американской коммуникологии и коммуникативистики: Гарольд Лассуэлл (1902—1978) // Сборник научных трудов «Актуальные проблемы теории коммуникации». — СПб : — Изд-во СПбГПУ, 2004. — С. 11-20.

[22] ბატონი დიმირი ნადირაშვილი ამის თაობაზე ამახვილებს ყურადღებას და განიხილავს პიროვენბის ისეთ მდგომარეობებს, როდესაც მის „მეს“ და საზოაგადოებას შორის საზღვარი ხდება გამჭირვალე, და როდესაც პიროვენბა კარგავს იდენტობას და გადაიქცევა ინდივიდათ - მასის წევრად. /Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». (стр. 103). Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978

დამაარსებელიც და პროგრესივისტული განათლების პრინციპების პოპულარიზატორი.[23]

P.S.

უნდა აღინიშნოს რომ **„პროპაგანდის ფსიქოლოგია“** წარმოადგენს ინტერესს **ფსიქოლოგიის ისტორიის კვლევის ცენტრისთვის,** რომელიც იკვლეს ქართველი ფსიქოლოგების და მათი ნაშრომების ისტორიას. ცენტრი წარმოადგენს **ბარბარე ყიფიანის სახელობის მეტაფსიქოლოგიის საერთაშორისო სკოლის** ერთეულს.

მეტაფსიქოლოგია, როგორც მეტამეცნიერება აერთიანებს საკუთარ თავში როგორც კლასიკური ფსიქოლოგიის საფუძვლებს ასევე ინტერდისციპლინური, მულტიდისციპლინური და კროსდისციპლინური კვლევების მიმართულებებს. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება - **პოლიტიკური ფსიქოლოგიაა,** რომელიც შეიცავს საკუთარ თავში პროპაგანდის და კონტრ-პროპაგანდის ფსიქოლოგიას. სახელმძღვანელო ასევე საინტერესოა ისეთი მიმართუელებებისთვის, როგორიცაა: საორგანზიაციო ფსიქოლოგია, სპიჩინიგის ფსიქოლოგია, ორატორობა, კომერციული ფსიქოლოგია, რეკლამის ფსიქოლოგია, ემოციების მართვა, ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, იურიდიული და კრიმინალური ფსიქოლოგია, ეკონომიკური ფსიქოლოგია, შრომის ფსიქოლოგია.

ნაშრომის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ თვითონ წიგნი შოთა ნადირაშვილის მიერ იყო გამოყენებული როგორც დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის ღია პროპაგანდა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ნაშრომი იქნება გადათარგმნილი და გამოცემული ქართულ ენაზე.

სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი პოლიტიკის მიცნიერების მიმართულებით ჩატარებული სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებელი კვლევების ჩარჩოში.

ბიბლიოგრაფია:

1. ა.რუსეცკი, ო.დოროხინა - 2021, მონოგრაფია **„მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, www.rav2021.com**

[23] Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». (стр. 118). Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978

2. ა.რუსეცკი - „ევროპული იდენტობა, ევროპის საზღვრები და საქართველოს პოზიციონირება გეოპოლიტიკურ სივრცეში“/პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინსტრო - პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი (PISM), ჟურნალი „ვროპა“ 2007.
3. ა.რუსეცკი „ფსევდოკონფლიქტები და კვაზისამშვიდობო პროცესები კავკასიაში“. 2009
4. Воздействие СМИ, Учебная программа учреждения высшего образования по учебной дисциплине для специальности: 1-23 01 15 Социальные коммуникации, https://core.ac.uk/download/pdf/38542716.pdf
5. Гнатюк О. Л. Из истории американской коммуникологии и коммуникативистики: Гарольд Лассуэлл (1902—1978) // Сборник научных трудов «Актуальные проблемы теории коммуникации». — СПб : — Изд-во СПбГПУ, 2004. — С. 11-20
6. Лассуэлл Г. Д. Техника пропаганды в мировой войне / Сокращённый перевод с английского Н. М. Потапова — М.-Л.: Государственное издательство; отдел военной литературы, 1929.
7. Ш.Надирашвили. «Психология пропаганды». Издательство «Мецниереба», Тбилиси, 1978
8. Victor Kryukov, Tamara Rubantsova, Helen Sotnikova, Basic Concepts of Political Axiology, International Journal of Management Sciences and Business Research, Sep-2021 ISSN (2226-8235) Vol-10, Issue 9 p.15-18
9. Lasswell H.D. The Theory of Political Propaganda // The American Political Science Review — 1927. — Vol. 21, No. 3. — с. 627—631.
10. Lasswell H. D. Psychopathology and politics" (1960)
11. Lasswell H. D. Propaganda Technique in the World War (1927; переиздана с новым вступлением, 1971)
12. Raiffa, H. (2020) The founding of the institute. Available at: https://iiasa.ac.at/web/home/about/whatisiiasa/history/history_of_iiasa.html (Accessed: 12 January 2022).
13. Rogers E.M. A history of communication study: a biographical approach. — New York: The Free Press, 1997. — с. 104.
14. Thompson, K., The Functionalist Perspective on Society, 2016
15. ვლადიმერ ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტი https://www.cybernet.ge/
16. კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი, https://computing.tsu.ge/ka/about
17. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტიhttp://research.ciu.edu.ge;
18. Институт проблем управления, https://www.ipu.ru/node/12123
19. Dr. Rusetsky, Personal website www.RAV2021.com